საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/01/2026

MES 6 26 0000032521

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი 1447/25, ცენტრში რეგისტრაციის - №1805856, 18/12/2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 15 თებერვლის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის სხდომის №29682 ოქმის №5 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 26 დეკემბრიდან.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საქართველოს
ფინანსთა
სამინისტრო
ელექტრონული